



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000069149842420

№ 17-0

24 / ივნისი / 2020 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის # 628 დადგენილების და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის № 200 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2020 წელს განისაზღვროს დანართის შესაბამისად კონკურსზე წარსადგენი პროექტი:

ა) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაისუბანში ღვინის ქარხნების ხელმისაწვდომობის ზრდა შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის საშუალებით. (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაისუბანში ღვინის ქარხნებთან გამავალი შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია).

მუხლი 2

ნება დაერთოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 3

დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 4

განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 5

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:

ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრულად



კარლო ჯამბურია